თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 13

ქ. თერჯოლა 26.12.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. დავით გოგბერაშვილი, 7. მანუჩარ ფანჩულიძე, 8. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3. ფრიდონ გვენეტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28243611, 26.2024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო ნაწილის ცვლილებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1018.8 ათასი ლარით და შეადგენს 35980.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2349,5 ათასი ლარით (გრანტი რგფ პროექტების დაფინანსება გაიზარდა 1119.5 ათასი ლარით. გრანტი ფინანსური დახმარება გაიზარდა 1050.0 ათასი ლარით. ქონების დასასახადი გაიზარდა 180.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 1330.7 ათასი ლარით (გრანტი სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 73.6 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები შემცირდა 1077.1 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივები შემცირდა 180.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 349.5 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 59.2 ათასი ლარით.

გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოლა შენახვის ხარჯი შემცირდა 91.1 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 11.2 ათასი ლარით.

გარე განათება შემცირდა 7.4 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯი შემცირდა 45.4 ათასი ლარით.

სოფლებში განსახორციელებელი პროექტები შემცირდა 31.0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 30.7 ათასი ლარით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება შემცირდა 73.5 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1368.4 ათასი ლარით. მ/შორის:

საკრებულოს დაფინანსება გაიზარდა 6.2 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.

გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 1119.5 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 7.3 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 75.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 11.9 ათასი ლარით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 12.3 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 22.2 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 11.0 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 16.0 ათასი ლარით.

მუზეუმების გაიზარდა 1.0 ათასი ლარით.

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 12.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდა 1.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი